დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის
7 ნოემბრის №198/01-01 ბრძანებით

$ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

$ 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

$ 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

კონკურსის წესით უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) შერჩევა.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობს.

$ 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენ-ჭისყრა ეწყობა ხელახლა.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კო-მისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

$ 5. დავების გადაწყვეტა

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.